



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #012/17<sup>1</sup>  
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

მარიამ ჩიბურდანიძე (სტუდენტი)

**ფაქტები:**

მოსარჩელე მხარეებმა ეთიკის კომისიას მიმართეს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისათვის ეთიკის ნორმების დარღვევისთვის სანქციის დაწესების თაობაზე. ადვოკატმა თ. ქ-მ მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლოს დაუმალა ის ფაქტი, რომ საჩივრის ავტორები და მათი ადვოკატები იმყოფებოდნენ უკანონო პატიმრობაში და ისინი ამის გამო ვერ ესწრებოდნენ მოსამზადებელ სხდომას. ადვოკატმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოსარჩელე მხარის აზრით ადვოკატმა ამ ქმედებით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები.

**სამართლებრივი შეფასება**

მოსარჩელე მხარემ ეთიკის კომისიას მიმართა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6(1) მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ, რომლის თანახმად. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოში დადგენილ ქცევის წესებსა და მოქმედ კანონმდებლობას. ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერ და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. სასამართლოს მოპასუხე მხარისთვის მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ან პოზიციის დაფიქსირება არ მოუთხოვია, ასევე ადვოკატს სხდომაზე მოსარჩელე მხარის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია და ეს მისი ვალდებულება არც იყო, ვინაიდან ადვოკატს არ აქვს ვალდებულება თავისი ინიციატივით სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რატომ არ ცხადდება მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო სხდომაზე. ადვოკატი მხოლოდ და მხოლოდ ვალდებული იყო თავისი კლიენტის ინტერესებისათვის მოეთხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აქვე აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, დაკავებული იყო ოთხი პიროვნება, ხოლო სასამართლო საქმეში მოსარჩელედ და მოსარჩელის წარმომადგენლად ჩართული იყო ცხრა პიროვნება, უცნობია რატომ არ გამოცხადდა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დანარჩენი ხუთი პიროვნება და არ გააკეთა განმარტება მხარეთა გამოუცხადებლობის შესახებ. შესაბამისად ადვოკატის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული უკანონოდ ვინაიდან, იგი იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად.

**დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლით და აღნიშნული ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c471806a8bab.pdf/5c471806a8bab.pdf>